საქართველოს მთავრობის

დადგენილება №505

2023 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში (სსმ, №155, 29/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-13 მუხლით განსაზღვრული ცხრილის („საერთო მოთხოვნები“) XII თავს („დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, დამატებით აუცილებელია“) მე-12 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 გრაფა:

„13.	დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით მომსახურების მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს მედიცინის დახმარებით რეპროდუქციასთან (მდრ) დაკავშირებული საქმიანობის ერთიანი ეროვნული რეესტრი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, ყველა მოპოვებული, დამუშავებული, შენახული და განაწილებული რეპროდუქციული ქსოვილის, უჯრედისა და ემბრიონის, ასევე მათ შესახებ მონაცემებისა და მათთან კონტაქტში მყოფი მასალების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, დონორიდან რეციპიენტამდე და პირიქით	მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობის ერთიან ეროვნულ რეესტრში დაცულია შემდეგი ინფორმაცია: ა) მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებების/ბანკების შესახებ; ბ) მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ; გ) მდრ-ის განხორციელებით ჩასახული ბავშვის დაბადების შესახებ; დ) რეპროდუქციული უჯრედების ან ემბრიონების დონორების შესახებ; ე) რეპროდუქციული უჯრედების ან ემბრიონების რეციპიენტის შესახებ; ვ) დონაციური რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების შესახებ; ზ) ინ-ვიტრო განაყოფიერების მონაცემების შესახებ.“.

მუხლი 2

დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, 2024 წლის 1 იანვრამდე ნორმატიული აქტით დაამტკიცოს მედიცინის დახმარებით რეპროდუქციასთან დაკავშირებული საქმიანობის ერთიანი ეროვნული რეესტრის წარმოებისა და მართვის წესები და პირობები, აგრეთვე მინიმალური დასაცავი ინფორმაციისა და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების წესი და პროცედურა.

მუხლი 3

დადგენილება, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**